

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები -ასოცირებული პროფესორები ანა ხარანაული, დარეჯან თვალთვაძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) მიზანი

ბიბლიის ფილოლოგია ბიბლესტიკის, როგორც ინტერდისციპლინარული და მულტიდისციპლინარული დარგის ერთ-ერთი საკვანძო რგოლია. იგი შეისწავლის და დაადგენს წმ. წერილის ავთენტურ ტექსტს და ამით ობიექტურ საფუძველს უმზადებს ბიბლიის შემსწავლელ სხვა დარგებს.

სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის (ქართული ენა და ლიტერატურა, ან კლასიკური და ბიზანტიური ფილოლოგია, არმენოლოგია, სემიტოლოგია),

ქართული ქრისტიანული მწერლობის ჩასახვა, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიის თარგმანთანაა დაკავშირებული და, ამიტომ, ბიბლიის პირველი ქართული თარგმანისა თუ თარგმანების, მათი ხასიათის, ენის, წარმომავლობის საფუძვლიანი და კონკრეტული კვლევისა და ამ კვლევის შედეგად მოპოვებული ობიექტური მასალის გარეშე შეუძლებელია ქართული ქრისტიანული კულტურის წარმოშობისა და მისი ორიენტაციის, ქრისტიანულ სამყაროსთან მისი მიმართების კვლევა.

ქართული კულტურის შესწავლის არასახარბიელო (და თითქმის უპრეცედენტო ქრისტიანულ სამყაროში) მახასიათებელია ის, რომ არ არსებობს ქართული ბიბლიის სრული კრიტიკული თუ დიპლომატიური გამოცემები, რომლებიც მომზადდებოდა ბიბლიის ხელნაწერთა თუ სხვა წყაროთა სრული გათვალისწინებით, მისი უცხოენოვან წყაროებთან შეპირისპირებით და ტექსტოლოგიაში მიღებული სტანდარტების დონეზე.

სასწავლო პროგრამა ბიბლესტიკაში დღესაც არ არსებობს ქართულ უნივერსიტეტებში მაშინ, როდესაც ქრისტიანულ მსოფლიოში ძნელი მოსაძებნია უნივერსიტეტი ამ სპეციალობის გარეშე (ამ მხრივ გამონაკლისს შეიძლება მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტი წარმოადგენდეს პოსტსაბჭოთა სივრცეში).

აღნიშნული ხარვეზები სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად იმ კვალიფიციურ სპეციალისტთა ნალებობითაც აიხსნება, რომლებსაც სპეციალური განათლება აქვთ მიღებული ბიბლესტიკის ამა თუ იმ სფეროში.

სადოქტორო პროგრამის მიზანი სწორედ ამ ხარვეზის ამოვსებაა, კერძოდ, იმ პროფესიონალური კადრების აღზრდა, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისით შეძლებენ იკვლიონ და სხვასაც შეასწავლონ ქართული ბიბლიის ფილოლოგიის საკითხები:

- ბიბლიის ქართული თარგმანის ენა, როგორც ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი,
- ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტოლოგიური კვლევისა და გამოცემის პრობლემები,
- ბიბლიის ქართული თარგმანი და თარგმანის ტიპოლოგია შუა საუკუნეებში,
- ბიბლიის ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხები,
- ბიბლიის ქართული თარგმანის მნიშვნელობა წმ. წერილის სხვა თარგმანთა ტექსტოლოგიური კვლევისათვის,
- ბიბლია და თეოლოგიური აზრის განვითარება შუა საუკუნეებში,
- ბიბლია – სასულიერო მწერლობის ჟანრების განვითარების საფუძველი,
- ქართული ბიბლია ბიბლიის ტექსტოლოგიისა და თეოლოგიის ზოგად კონტექსტში.

ბ) შედეგები

დოქტორანტურის დასრულების შედეგად მიღებული კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს თავადაც იკვლიოს და მოამზადოს სალექციო კურსები არჩეულ სპეციალობაში და მის ფარგლებს გარეთაც.

I. ცოდნა და გაცნობიერება

- ბიბლიის სხვადასხვა ეპოქის თარგმანისა თუ რედაქციის შესწავლა მას სავსებით მოამზადებს ძვ. ქართული ენის, ქართ. ენის ისტორიის და ქართული სალიტერატურო ენის სტილის სპეციალისტად.
- თეორიული განათლება თუ პრაქტიკული ცოდნა, მიღებული ბიბლიის თარგმანის დარგში მას საშუალებას მისცემს თავისი მომავალი საქმიანობა თარგმანის თეორიისა თუ პრაქტიკის, შუა საუკუნეების თარგმანის ისტორიის, მისი ტიპოლოგიის სფეროებში წარმართოს.
- ბიბლიური ენის სტილისტიკის ცოდნა დოქტორს შუა საუკუნეების მხატვრული სტილის საკითხებზე მუშაობის საშუალებას მისცემს.
- ბიბლიის გამოცემა იყო და არის დღესაც სასინჯი ქვა ტექსტოლოგიური მეთოდების შემუშავებისა და დახვეწისას, ამდენად, ბიბლიის ტექსტოლოგიაში გარკვევა დოქტორანტს, ზოგადად, ტექსტოლოგიის სპეციალისტადაც ჩამოაყალიბებს.

II. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

- დოქტორანტურაში მიღებული კვალიფიკაცია საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს, იმუშაოს მომიჯნავე დარგებშიც
- შეეძლება გამოსაცემად მოამზადოს ბიბლიის ტექსტი და სხვადასხვა კუთხით (სამეცნიერო თემატიკა იხ. ზემოთ) იკვლოს იგი.
- სასწავლო პროცესში დოქტორანტი სხვადასხვა ტექსტურ პროგრამაზე მუშაობის საფუძვლიან ჩვევებს მიიღებს. ტექსტის დამუშავების სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის (Microsoft Word, Bible Work for Windows, Musaios, Work Place, Word Cruncher, ლეჟავას საძიებო პროგრამა, “ქორის თვალი”) და მონაცემთა ბაზების (TLG, Titus DatenBank), ინტერნეტის ვებ-გვერდების გამოყენება
- ჯგუფური მუშაობა და შრომის განაწილება კონკრეტული პიროვნების მონაცემების გათვალისწინებით
- სამუშაოს ეტაპობრივი განაწილება

III. ზოგადი/ტრანსფერული უნარები

- წყაროთა ანალიზის შედეგების თეორიული განზოგადების უნარი
- თეორიული, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი
- კვლევითი მუშაობის ჩვევები
- კომპარატიული კვლევის ჩვევები
- ქართულ სამეცნიერო ენაზე წერისა და მეტყველების უნარი
- მულტიდისციპლინარული კვლევის უნარი
- ტექსტოლოგიური კვლევის უნარი
- ისტორიულ-კულტუროლოგიური კვლევის უნარი.
- ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევის უნარი.
- ტექსტოლოგიურ და ლინგვისტური კომპარატივისტიკის კვლევის მეთოდებით კვლევის უნარი.

გ) დასაქმების სფეროები

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს, მუშაობა შეეძლება: საგანმანათლებლო დაწესებულებებში - ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის კვლევით

ინსტიტუტებში, ხელნაწერთა ფონდებში, აგრეთვე სხვაგან, სადაც საჭიროა ფილოლოგის მაღალი კვალიფიკაცია.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- სადოქტორო პროგრამის ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.
- სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის.

დოქტორანობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენის ცოდნის (B2 დონე) დამადასტურებელი მოწმობა.

სასწავლო კომპონენტი

სასწავლო პროგრამა 180 კრედიტს მოიცავს, აქედან 120 კრედიტი გათვალისწინებულია სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) მომზადებისა და დაცვისათვის, 60 კრედიტი - სასწავლო დისციპლინებისათვის. აქედან 35 კრედიტი - საუნივერსიტეტო საგნებისათვის (სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი; მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 15 კრედიტი; 2 კოლოკვიუმი 10 კრედიტი; საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები - 25 კრედიტი; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში გავლილი კურსები - 5-60 კრედიტი; საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში გავლილი კურსები - 5-30).

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება თსუ ქართული ენის ინსტიტუტის ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების დეპარტამენტისა და ქართული ხელნაწერების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრ "ორიონის" მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით (ოთხი ახალი კომპიუტერი, 3 პრინტერი, 2 სკანერი, ასლის გადამღები, მიკროფირების საკითხავი აპარატი, რიზოგრაფი, ბიბლიოლოგიის დარგში სამეცნიერო გამოცემების ბიბლიოთეკა).

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული პროფესორები

თსუ ემერ. პროფესორი დამანა მელიქიშვილი,
თსუ ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული,
თსუ ასოცირებული პროფესორი დარეჯან თვალთვაძე,
თსუ სრული პროფ. ვახტანგ იმნაიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი ვიქტორია ჯუღელი,
თსუ მოწვეული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი მანანა გოცირიძე,
საქ. მეცნ. აკად. წევრ. კორ., თსუ რექტორის მრჩეველი მზექალა შანიძე